ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 5

25.06.2019

დღის წესრიგი:

1. დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ
2. სტუდენტთა წარდგინება: ოკუპაციური თერაპიის **ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება** და შესაბამისი დიპლომის გაცემის (2019 წლის კურსდამთავრებულს ნათია ყარაგვეზაშვილის)
3. დოქტორანტების თემების სათაურების დამტკიცება
4. სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრების არჩევა
5. „მულტილინგვური განათლება–დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" დამტკიცების საკითხი
6. კოლოკვიუმის აღდგენაზე სტუდენტის დაშვების წესების შესახებ
7. ნ. მაჭარაშვილის წერილის განხილვა ინტერდისციპლინური პროგრამების განვითარებისა და კვლევების ცენტრის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემოსვლის შესახებ
8. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე, მზია წერეთელი

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, გიორგი გოროშიძე, მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია, ხათუნა მარწყვიშვილი.

ასისტენტ პროფესორები:

თეონა ლოდია

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

რუსუდან სანაძე, ზაქარია ქიტიაშვილი.

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ანა კვირიკაშვილი, მარიამ ბექაური, ირაკლი ხაბულიანი, დიანა ზვიადაძე, მარინა ბორჩაშვილი, ქეთევან ცანავა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრებოდა 22 **წევრი**.

განიხილეს:

1. **დეკანის არჩევნების გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხი**

   საბშოწ თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ, საბჭოს მოახსენა, რომ 2019 წლის 2 ოქტომბერს დეკანს გასდის ვადა და აუცილებელია დეკანის არჩევნების გამოცხადება. თსუ-ს 2015 წლის 4 მაისის N50 დადგენილების საფუძველზე აუცილებელია გამოცხადდეს არჩევნების დღე, კონკურსის გამოცხადებისა და საბუთების შეტანის ვადები. მან საბჭოს შესთავაზა არჩევნები დაინიშნოს 17 სექტემბერს, ხოლო არჩევნები გამოცხადდეს 1 აგვისტოს, საბუთების მიებამდე 1 თვით ადრე. საბუთების შეტანის ვადად კი განისაზღვროს 2-13 სექტემბერი.

   აღნიშნული საკითხი ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ ამასთან დაკავშირებით.

   კენჭი უყარეს წინადადებას: დეკანის არჩევნების თარიღად განისაზღვროს 17 სექტემბერი. შესაბამისად, არჩევნები გამოცხადდეს 1 აგვისტოს, საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე. 1 აგვისტოს ვებგვერდზე განთავსდეს შესაბამისი საინფორმაციო უწყება არჩევნების გამოცხადების შესახებ. საბუთების მიღების თარიღად კი განისაზღვროს 2 - 13 სექტემბერი.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. **სტუდენტთა წარდგინება: ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება და შესაბამისი დიპლომის გაცემის (2019 წლის კურსდამთავრებულს ნათია ყარაგვეზაშვილის) საკითხი**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანია საბჭოს მოახსენა ნათია ყარაგვეზაშვილისათვის (2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებული, სწავლების დარგი ოკუპაციური თერაპია, დიპლომი ჩვეულებრივი) ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომის მიცემის საკითხი.

კენჭი უყარეს წინადადებას: ნათია ყარაგვეზაშვილის (2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებული, სწავლების დარგი ოკუპაციური თერაპია, დიპლომი ჩვეულებრივი) მიენიჭოს ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. **დოქტორანტების თემების სათაურების დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს მოახსენა სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურების დამტკიცების საკითხი.

1. აფთარაშვილი ქეთევან - „კლასგარეშე კითხვა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე)“.

   სამეცნიერო ხელმძღვანელი - ემერიტუს პროფესორი თამაზ კარანაძე

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი არ გამოუთქვამთ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს და სათაური მისაღები აღმოჩნდა მათთვის.

კენჭი უყარეს ქეთევან აფთარაშვილის სადისერტაციო თემის სათაურს - „კლასგარეშე კითხვა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე)“.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. ბოლქვაძე ზურაბ - „მულტიმედიის გამოყენება უმაღლეს სკოლაში უცხოური ენის სწავლების პროცესში (გერმანული ენის მაგალითზე)“.
   სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ივა მინდაძე

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი არ გამოუთქვამთ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს და სათაური მისაღები აღმოჩნდა მათთვის.

კენჭი უყარეს ზურაბ ბოლქვაძის სადისერტაციო თემის სათაურს - „მულტიმედიის გამოყენება უმაღლეს სკოლაში უცხოური ენის სწავლების პროცესში (გერმანული ენის მაგალითზე)“.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. გეგეშიძე თამარ - „ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი (უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა)”.
   სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა. პროფესორმა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ძალიან ზოგადია აღნიშნული სათაური და დაზუსტებას საჭიროებს, რომელსაც საბჭოს სხვა წევრების დაეთანხმნენ. იქვე გაჩნდა აზრი, რომ სათაური შემდეგნაირად ჩამოეყალიბებინათ - „უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა (“ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი)“. თუმცა, თ.გაგოშიძემ და ლ. არუთინოვამ აღნიშნეს, რომ სადისერტაციო სათაურში მეცდელობის გამოტანა არ არის მიზანშეწონილი. პროფესორმა ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ ასე ფრომურირებული სათაური მისთვის მისაღებია. სხდომა ესწრებოდა პროფესორი ქ. ჭკუასელი, რომელიც აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის

ხელმძღვანელია. მისთვის მისაღები აღმოჩნდა კოლეგების მოსაზრებები და იქვე შეთანხმდნენ სათაურის ახალ ფორმულირებაზე.

კენჭი უყარეს დოქტორანტ თამარ გეგეშიძის სადისერტაციო ნაშრომის ახალი სათაურის - „უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა (ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი)“ - დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

4. ბუსხრიკიძე ელისაბედ - „პროექტებით სწავლების ასპექტები პედაგოგიკურ თეორიასა და სასკოლო პრაქტიკაში (რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე).“ სამეცნიერო ხელმძღვანელი - ემირიტუს პროფესორი თამაზ კარანაძე

აზრი გამოთქვეს:

საბჭოს წევრებისთვის აღნიშნული სათაური ძალიან ზოგადი აღმოჩნდა. პროფესორმა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ სათაური საჭიროებს დაზუსტებას. პროფესორმა მ. წერეთელმა ხაზი გაუსვა პროექტით სწავლების მნიშვნელობას და იმას თუ როგორ იყენებენ ამ მეთოდს პედაგოგიურ პრაქტიკაში, მაგრამ საკითხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უფრო მეტი კონკრეტიკა.

კენჭი უყარეს წინადადებას: დოქტორანტ ელისაბედ ბუსხრიკიძის სადისერტაციო ნაშრომი სათაური დაკონკრეტდეს და მის განხილვას ფაკულტეტის საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

4. **სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრების არჩევა**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს წვერებს წარუდგინა სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრების არჩევის საკითხი. მან აღნიშნა, რომ კომისიაში უნდა იყოს 13 წევრი, უნდა იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამიდან კიდევ ერთი წარმომადგენელი.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ფაკულტეტს ჰქონდეს ერთიანი პოზიცია დამატებით აქტივობებთან დაკავშირებით. დამატებითი აქტივობები არაფერში ეთვლება აკადემიურ პერსონალს. მაგალითად, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობა, რომელიც ხელმძღვანელისგან დიდი დროსა და ძალისხმევას მოითხოვს არსად არ აისახება. მას ეს არც საათობრივ დატვირთვაში ეთვლება და არც დამატებითი ანაზღაურება არა აქვთ. ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ უნდა მოითხოვონ დამატებითი ანაზღაურება ან ამ აქტივობების დატვირთვაში ასახვა.

გარდა ამისა, ზოგადად, დადგა აკადემიური პერსონალის დაბალი ანაზღაურების საკითხი. ამ საკითხზე იმსჯელა საბჭომ და რეკომენდაცია მისცა აკადემიური საბჭოს წევრებს, რომ ანაზღაურების მომატების საკითხი განიხილონ აკადემიურ საბჭოზე.

პროფესორმა მზია წერეთელმაც გამოთქვა აზრი ახალ დამატებით სამუშაოსთან დაკავშირებით. მაგალითად, ახალ ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა პედაგოგისგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. მისი აზრით, მნიშნელოვანია, რომ აუდიტორიაში იდგეს ერთი კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც პედაგოგი იქვე შეიტანს ქულას სიტემაში და არა უწყისში, ან ფურცელზე, რომელიც მერე სისტემაში უნდა შეიყვანოს. ასევე, ისიც ეთანხმება ხელფასების ზრდას დამატებითი აქტივობებისათვის.

ამის შემდეგ პროფესორმა თ. გაგოშიძემ წარადგინა სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრების კანდიდატურები კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან ორი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი თ. გაგოშიძე და პროფ. ლ. სურმანიძე და ერთი წევრი ასოც. პროფესორი თ. აბაშიძე.

კენჭი უყარეს წინადადებას: სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრებად არჩეულ იქნან - პროფესორი თ. გაგოშიძე, ლ. სურმანიძე და ასოც. პროფესორი თ. აბაშიძე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

შემდეგ წარადგინეს კანდიდატურები <u>პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი</u>დან: ასოცირებული პორფესორები - ლუიზა არუთინოვა და ლილი ხეჩუაშვილი

კენჭი უყარეს წინადადებას: სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრებად არჩეულ იქნან - ასოცირებული პროფესორები: ლუიზა არუთინოვა და ლილი ხეჩუაშვილი

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

ასევე, წარადგინეს კანდიდატურები <u>შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდ</u>ან: პროფესორი ია კუტალაძე და ასოც. პროფესორი მაია რობაქიძე.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ აღნიშნა, რომ თავად არ იყო საქმის კურსში წამოყენებულ კანდიდატურებთან დაკავშირებით და ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა. ფკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ სადოქტორო დარგობრივო კომისიის კანდიდატურების ვინაობა ინსტიტუტმა მიაწოდა ფაკულტეტის საბჭოს სამდივნოს.

კენჭი უყარეს წინადადებას: სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრებად არჩეულ იქნან - პროფესორი იამზე კუტალაძე და ასოცირებული პროფესორი მაია რობაქიძე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

ასევე, წარადგინეს კანდიდატურები განათლების <u>ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდ</u>ან: პროფესორი მზია წერეთელი და ასოც. პროფესორი ია აფთარაშვილი.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს წინადადებას: სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრებად არჩეულ იქნან - პროფესორი მზია წერეთელი და ასოცირებული პროფესორი ია აფთარაშვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადოქტორო დარგობრივ კომისიაში უნდა იყოს 13 წევრი. შესაბამისად, ერთ-ერთმა ინსტიტუტმა უნდა წამოაყენოს 3 კანდიდატურა. ასეთი აღმოჩნდა სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელმაც სამი კანდიდატურა წარმოადგინა - ასოცირებული პროფესორები: ანასტასია ქიტიაშვილი, მედეა დესპოტაშვილი და ეკატერინე ფირცხალავა.

კენჭი უყარეს წინადადებას: სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრებად არჩეულ იქნან - ასოცირებული პროფესორები: ანასტასია ქიტიაშვილი, მედეა დესპოტაშვილი და ეკატერინე ფირცხალავა.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

განათლების დეპარტამენტმა წამოაყენა სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრების კანდიდატურები: პროფესორი ქეთევან ჭკუასელი და ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი.

კენჭი უყარეს წინადადებას: სადოქტორო დარგობრივი კომისიის წევრებად არჩეულ იქნან - პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი და ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

5. **„მულტილინგვური განათლება–დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" დამტკიცების საკითხი**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მ. მელიქიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად ახალი პროგრამა *„მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“*. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ჩატარდა განათლების დეპარტამენტის კომიტეტის 2 სხდომა. კომიტეტმა განიხილა ახალი პროგრამა და გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავა. პროგრამის

ხელმძღვანელმა რეკომედაციების გათვალისწინების შემდეგ ის წარუდგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც დადებით დასკვნა მისცა. საბჭოს, ასევე, გააცნეს პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტები: პროგრამის აღწერილობა და სასწავლო გეგმა.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფესორმა ა. ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა პროგრამაში გათვალისიწინებული ყოფილიყო სოციალური ფსიქოლოგიის საკითხები. პროგრამასთან დაკავშირებით, ასევე, აზრი გამოთქვა პროფესორმა მზია წერეთელმა, რომელიც ჩართული იყო მის შემუშავებაში. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში შედის ფსიქოლოგიის საგნები, რომლებიც მოიცავს სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებს, ხაზი გაუსვა ახალი პროგრამის აქტუალობას და დადებითად შეაფასა.

კენჭი უყარეს „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ დამტკიცების

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

6. **შუალედური გამოცდების აღდგენაზე სტუდენტის დაშვების წესების შესახებ**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ დააყენა შუალედური გამოცდების აღდგენაზე სტუდენტის დაშვების წესის შემუშავები საკითხი. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები გაუთავებლად ითხოვენ შუალედური გამოცდების აღდგენას. ისინი ძირითად მიზეზად სამსახურს ასახელებენ. პროფ. თ. გაგოშიძე თვლის, რომ სამსახურმა ახალგაზრდებს ხელი უნდა შეუწყოს, ხოლო უნივერისტეტმა კი ადვოკატირება გაუწიოს სტუდენტებს რომ გამოცდების დროს დამსაქმებელმა გაათავისუფლოს სტუდენტები.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ლალი სურმანიძემ აღნიშნა, რომ ამ პრობლემის წინაშე ყველა პედაგოგი დგას და ნამდვილად საჭიროებს მოგვარებას. მისი აზრით, სტუდენტს სამსახურში წარსადგენად უნდა

მიეცეს ცნობა, რომ აქვთ შუალედური გამოცდები და გაათავისუფლონ. ამასთან დაკავშრებით სტუდენტებმაც გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება. სტუდენტმა ქეთევან ცანავამ აღნიშნა, რომ დასაქმებულ სტუდენტებს პრობლემები შეექმნებათ თუ რაიმე რეგულაციას დააწესებენ სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რადგან ორგანიზაციების დიდი ნაწილი ასეთ ტიპის ცნობას არ გაითვალისწინებს და ისევ სტუდენტი დაზარალდება. მისი აზრით, უმჯობესია, რომ ფაკულტეტზეც ისევე დარეგულირდეს შუალედური გამოცდების აღდგენის საკითხი, როგორც ეს საგამოცდო ცენტრში ხდება. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ფაკულტეტმა გაიზიაროს საგმოცდო ცენტრის რეგულაცია და ამას დაემატოს, რომ აღდენა მოხდეს ერთი კვირის განმავლობაში და მხოლოდ ერთხელ.

კენჭი უყარეს წინადადებას: სტუდენტმა შულედური გამოცდის აღდგენისათვის წარადგინოს ცნობა, შუალედური გამოცდა აღადგინოს ერთი კვირის განმავლობაში და აღდგენისათვის ეძლევა ერთი შანსი.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

7. **ნ. მაჭარაშვილის წერილის განხილვა ინტერდისციპლინური პროგრამების განვითარებისა და კვლევების ცენტრის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემოსვლის შესახებ**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა რომ შემოვიდა ნანი მაჭარავილის წერილი ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის საუნივერსიტეტო დაქვემდებარებიდან ფაკულტეტის შემადგენლობაში გადმოსვლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ წერილი საჭოს წევრებს დაეგზავნათ გასაცნობად.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფესორმა გ. გოროშიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტს არ აქვს ასეთი ცენტრის შენახვის ფუფუნება და გასარკვევია რა პირობებით გადმოვა აღნიშნული ცენტრი ფაკულტეტის შემადგენლობაში, რა სარგებლობას ნახავს ფაკულტეტის მისი გადმოსვლი. პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ პირველ რიგში წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნდა გაუქმდეს არსებული ცენტრი და შემდეგ უკვრ ფაკულტეტზე თავიდან შეიქმნას შესაბამისი დებულებით. ფაკულტეტზე არსებული ცენტრები თვითდაფინანსებაზე არიან, ასეთივე თვითდაფინანსებაზე იქნება ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი ფაკულტეტის შემადგენლობაში შემოსვლის შემთხვევაში. ასოც. პროფ. მ. მესტვირიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრს

ძალიან კარგი და მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს, ასევ ტექნიკა, რომელსაც ცენტრის ფაკულტეტზე გადმოსვლის შემთხვევაში უკვე ფაკულტეტი განკარგავს. ასოც. პროფ. ხ. მარწყვიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრის ფართის გამოყენება ძალიან კარგად შეიძლება კონფერენციებისა და შეხვედრებისთვის.

კენჭი უყარეს წინადადებას: გადმოვიდეს ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი ფაკულტეტის შემადგენლობაში მისთვის განკუთვნილი ფართით და მატერიალური რესურსით.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

8. **სხვა:**

მე-8 საკითხად ფაკულტეტის საბჭომ განიხილა საკითხები, რომელიც საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნა ასოცირებული პროფესორის გიორგი გოროშიძის თხოვნით: 1) ფაკულტეტის დებულებაში აკადემიურ კადრებთან დაკავშირებით ცვლილებების და დამატებების შეტანის საჭიროებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ შესაქმნელია სამუშაო ჯგუფი, რომელიც თავისი მუშაობის შედეგებს განსახილველად წარუდგენს ფაკულ-ტეტის საბჭოს მის მომდევნო სხდომაზე. 2) ფაკულტეტის სპეციფიკის ადეკვატური საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ მუშაობის განახლება საამისო ნორმატიული ბაზის მოწესრიგებისა და ადმინისტრაციის ზეგავლენისგან მისი განთავისუფლების შემდეგ, რითიც აზრი მიეცემა მის შემოქმედებით საქმიანობას. 3) ხსენებული სამუშაო ჯგუფის მიერ თვითშეფასების კითხვარის განხილვა, მასში კორექტივების შეტანა, ფაკულტეტის საბჭოსთვის მისი წარდგენა, რათა შემდეგ იგი გადაეცეს თსუ აკადემიური საბჭოს დასამტკიცებლად. 4) ფაკულტეტზე არსებული კომისიების „ინვენტარიზაცია", მათი შემადგენლობების დაზუსტება-კორექტირება სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე. მისაღწევია თანამშრომელთა თანაბარი მონაწილეობა კომისიებში და არა მხოლოდ ვიწრო შემადგენლობის მონაწილეობა. თვითშეფასების კითხვარში ასეთ მონაცემებს ექცევა ყურადღება. 5) ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობის თანაბრად გადანაწილება პროგრამების თანამშრომლებს შორის. დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ასეთ განაწილებაში ასიმეტრიის შექმნა 1 ან 2 თანამშრომლის სასარგებლოდ. თვითშეფასების კითხვარში ასეთ მონაცემებს ექცევა დიდი

ყურადღება. 6) ახალ კურიკულუმზე მუშაობის დაწყება ფაკულტეტის კოლექტივის დაინტერესებულ წევრთა მიერ ღია კონსულტაციების ორგანიზებით და ფაკულტეტის საბჭოს პერიოდული ინფორმირებით მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით. 7) სამივე დონის პროგრამების ხელმძღვანელობის ვადების დადგენა პროგრამის ხანგრძლივობის საფუძველზე: ან 1 ვადით, ან მაქსიმუმ 2 ვადით.

აზრი გამოთქვეს:

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ პირველ, მეორე და მესამე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კომისია უკვე შექმნილია, კომისიის ვალდებულება და პასუხისმგებლობაა, რომ შეიკრიბოს და შეიმუშაოს საკონკურსო კრიტერიუმები და წარუდგინოს ფაკულტეტს. რაც შეეხება მეოთხე საკითხს - ფაკულტეტზე არსებული კომისიების „ინვენტარიზაცია", მათი შემადგენლობების დაზუსტება-კორექტირება სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე. მისაღწევია თანამშრომელთა თანაბარი მონაწილეობა კომისიებში და არა მხოლოდ ვიწრო შემადგენლობის მონაწილეობა - ამ საკითხზეც უკვე იმსჯელა ფაკულტეტის საბჭომ და შესაბამისად, პასუხის გასცა ასოც. პროფესორის გ. გოროშიძის შეკითხვებს. ფაკულტეტზე მუშაობს ორი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია და თავად გ. გოროშიძე კი გაერთიანებულია საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელ კომისიაში (სამუშაო ჯგუფი) და ახლა მნიშვნელოვანია მისი ამუშავება, რომელსაც კატეგორიულად მოითხოვს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თ. გაგოშიძე.

ფაკულტეტის საბჭოზე, ასევე იმსჯელეს - ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობის თანაბრად გადანაწილებაზე პროგრამების თანამშრომლებს შორის.

აზრი გამოთქვეს:

ასოცირებულმა პროფესორმა გ. გოროშიძემ პრეტენზია გამოთქვა იმასთან დაკავშირები, რომ ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა არათანაბრად ნაწილდება. მისი აზრით, სტუდენტთა გადაბირება მიმდინარეობს და ერთ პროფესორს შეიძლება ჰყავდეს ბევრი და მეორეს - არც ერთი. ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა აღშფოთება გამოთქვეს. ასოც. პროფესორმა ზ. ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები თავიანთი ინტერესების სფეროდან გამომდინარე, თავად ირჩევენ ხელმძღვანელებს და რომ არანაირი გადაბირებას არა აქვს ადგილი. უსამართლო იქნებოდა იმ

შემთხვევაში, თუ სტუდენტს რომელიმე ხელმძღვანელის არჩევის შესაძლებლობას არ მისცემდნენ, რაც ნამდვილად არა ხდება ფაკულტეტზე. ამ მოსაზრებას ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი იზიარებს და ეთანხმება.

ბოლო საკითხი, რომელიც წამოაყენა ასოც. პროფესორმა გ. გოროშიძემ ეხებოდა სამივე დონის პროგრამების ხელმძღვანელობის ვადების დადგენას პროგრამის ხანგრძლივობის სფუძველზე: ან 1 ვადით, ან მაქსიმუმ 2 ვადით.

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნული საკითხი სრულიად არაკანონიერ მოთხოვნად მიიჩნია ფაკულტეტის საბჭომ. პროფესორმა ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის ის, ვინც პროგრამას ქმნის. ასოც. პროფესორ ზ. ქიტიაშვილისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა საკითხის ასე დაყენება. მისი აზრით, ვინც შექმნა პროგრამა, ბოლომდე მან უნდა უხელმძღვანელოს და მისთვის სრულიად გაუგებარია რატომ უნდა დადგინდეს ვადები ხელმძღვანელობაზე. პროფესორმა მ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლამდე, პროგრამას კანონოთ ხელმძღვანელობს მისი ავტორი და შემქმნელი. თუ აკრედიტაციას ვერ გაივლის პროგრამა, მხოლოდ ამ შემთხვევაში პროფესორი აღარ იქნება პროგრამის ხელმძღვანელი.

ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, არ გაიზიარა ასოც. პროფესორის გ.გოროშიძის მოსაზრება, უკანონოდ მიიჩნია ასეთი მოთხოვნა და შესაბამისად, არც კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი.

დაადგინეს:

1. **დეკანის არჩევნების თარიღად განისაზღვროს 17 სექტემბერი. არჩევნები გამოცხადდეს 1 აგვისტოს, საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე. 1 აგვისტოს ვებგვერდზე განთავსდეს ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი საინფორმაციო უწყება არჩევნების გამოცხადების შესახებ. საბუთების მიღების თარიღად კი განისაზღვროს 2 - 13 სექტემბერი.**
2. **ნათია ყარგოზაშვილს მიენიჭოს ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.**
3. **დამტკიცდეს:**
    - **ზურაბ ბოლქვაძის სადისერტაციო თემის სათაური - „მულტიმედიის გამოყენება უმაღლეს სკოლაში უცხოური ენის სწავლების პროცესში (გერმანული ენის მაგალითზე)“.**

- ქეთევან აფთარაშვილის სადისერტაციო თემის სათაური - „კლასგარეშე კითხვა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე)“.
- დოქტორანტ თამარ გეგეშიძის სადისერტაციო ნაშრომის ახალი სათაური - „უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა (ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი)“.
- *დოქტორანტ ელისაბედ ბუსხრიკიძის სადისერტაციო ნაშრომი სათაური დაკონკრეტდეს და მისი განხილვა გადაიდოს ფაკულტეტის საბჭოს შემდეგი სხდომისათვის.*

4. დამტკიცდეს სადოქტორო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები: თამარ გაგოშიძე, იამზე კუტალაძე, მზია წერეთელი, ქეთევან ჭკუასელი, ლალი სურმანიძე, ასოცირებული პროფესორები: თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვი, ლილი ხეჩუაშვილი, მაია რობაქიძე, ია აფთარაშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, მედეა დესპოტაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი.
5. მიღებულ იქნას „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“ და დასამტკიცებლად გადაეცეს აკადემიურ საბჭოს.
6. სტუდენტმა შუალედური გამოცდის აღდგენისათვის წარადგინოს ცნობა, შუალედური გამოცდა აღადგინოს ერთი კვირის განმავლობაში და აღდგენისათვის ეძლევა ერთი შანსი, თუ არ შეიტანა აპელაციაზე.
7. ინტერდისციპლინური პროგრამების განვითარებისა და კვლევების ცენტრი თავისი მატერიალური რესურსებითა და მისთვის განკუთვნილი ფართით გადმოვიდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში.
8. დაევალოს საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელ კომისიას სექტემბერში წარმოადგინოს პროფესორების კონკურსში შესარჩევი კრიტერიუმები, ასევე პროფესორების სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია